პლასტმასის საბავშვო სკამი საზურგით

1. ზოგადი მოთხოვნები

პლასტმასის საბავშვო სკამი უნდა იყოს განკუთვნილი საბავშვო ბაღებში ბავშვების ყოველდღიური გამოყენებისათვის.

პროდუქტი უნდა იყოს:

- უსაფრთხო;
- მყარი;
- სტაბილური;
- ადვილად საწმენდ/დეზინფექცირებადი;
- გათვლილი ყოველდღიურ ინტენსიურ ექსპლუატაციაზე.

სკამი უნდა იყოს ახალი.

პროდუქტი არ უნდა შეიცავდეს:

- ბასრ კუთხეებს;
- ბასრ წიბოებს;
- ტრავმის გამომწვევ ელემენტებს;
- მორყეულ ან დეფორმირებულ ნაწილებს.

კონსტრუქცია უნდა იყოს ბავშვებზე მორგებული და უზრუნველყოფდეს:

- უსაფრთხო დასაჯდომ ფუნქციას;
- სტაბილურობას;
- მარტივ გადაადგილებას;
- იატაკის საფარის დაცვას.

2. ზომები და ფორმა

სკამი უნდა იყოს:

- საზურგიანი;
- ბავშვებისთვის ერგონომიული ფორმის;
- მომრგვალებული კიდეებითა და კუთხეებით.

სკამის ზომები:

- დასაჯდომის სიმაღლე: 27–30სმ,
- სკამის მთლიანი სიმაღლე: ≥ 50სმ,
- დასაჯდომის სიღრმე: 25–30სმ,
- დასაჯდომის სიგანე: ≥ 28სმ.

სკამის კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს:

- კომფორტულ დასაჯდომ პოზიციას;
- სტაბილურობას;
- მარტივ გადაადგილებას ბავშვებისა და პერსონალის მიერ.

საზურგის ზედა ნაწილში დასაშვებია მცირე ზომის ერგონომიული ჭრილი/სახელური, რომელიც უზრუნველყოფს სკამის უსაფრთხო და მარტივ გადაადგილებას, იმ პირობით, რომ არ ქმნიდეს თითის ან სხეულის სხვა ნაწილის გაჭედვის რისკს.

3. ძირითადი მასალა

პროდუქტი უნდა იყოს დამზადებული მყარი და დარტყმაგამძლე პოლიმერული მასალისგან:

- პოლიპროპილენი (PP);
- მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენი (HDPE);
- ან ეკვივალენტური უსაფრთხო პლასტმასისგან.

ABS დასაშვებია ექვივალენტად იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს იგივე მექანიკურ, უსაფრთხოების და ქიმიურ მოთხოვნებს.

გამოყენებული მასალა უნდა იყოს:

- არატოქსიკური;
- ქიმიურად სტაბილური;
- ადვილად საწმენდადი;
- ყოველდღიური გამოყენებისადმი მდგრადი.

მასალა არ უნდა შეიცავდეს ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებს.

4. კონსტრუქცია და დამზადების მეთოდი

სკამი უნდა იყოს ერთიანი კონსტრუქციის და დამზადებული ინექციური ჩამოსხმის მეთოდით (one-piece injection molded), ისე რომ არ შეიცავდეს ცალკე აწყობილ ნაწილებს, შესაკრავ ელემენტებს ან მექანიკურ შეერთებებს.

კონსტრუქცია უნდა იყოს:

- მყარი;
- სტაბილური;
- დეფორმაციისადმი მდგრადი.

სკამი უნდა იყოს მექანიკურად გამძლე და ნორმალური გამოყენების პირობებში არ უნდა დეფორმირდებოდეს, იბზარებოდეს ან კარგავდეს სტაბილურობას.

სკამი უნდა უძლებდეს არანაკლებ 50 კგ სტატიკურ დატვირთვას.

5. კიდეების და უსაფრთხოების მოთხოვნები

სკამის ყველა კიდე და კუთხე უნდა იყოს:

- მომრგვალებული;
- გლუვი;
- უსაფრთხოდ დამუშავებული.

კონსტრუქცია არ უნდა ქმნიდეს:

- თითის;
- ხელის;
- ან სხეულის სხვა ნაწილის გაჭედვის რისკს.

6. სტაბილურობა და იატაკის დაცვა

სკამის ფეხები უნდა იყოს კონსტრუქციულად დამუშავებული ისე, რომ:

- არ აზიანებდეს იატაკის საფარს;
- უზრუნველყოფდეს სტაბილურობას;
- ამცირებდეს მოცურების რისკს.

ასევე დასაშვებია:

- მოცურების საწინააღმდეგო ელემენტები;
- რბილი დამცავი დაბოლოებები;
- ან სხვა ანალოგიური გადაწყვეტები.

7. დასაწყობება (Stackability)

სკამი უნდა იძლეოდეს ერთმანეთში ჩადგმის (stacking) შესაძლებლობას.

დასაწყობებისას კონსტრუქცია არ უნდა:

- იკაწრებოდეს მნიშვნელოვნად;
- კარგავდეს სტაბილურობას;
- ან ზიანდებოდეს.

8. ფერი და ვიზუალური მოთხოვნები

სკამის ფერი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან წარმოდგენილი ნიმუშის საფუძველზე.

სასურველია გამოყენებულ იქნას:

- ნეიტრალური;
- ღია;
- პასტელური;
- ბუნებრივი ხის ფაქტურასთან ვიზუალურად თავსებადი ტონები.

დასაშვებია, მათ შორის:

- ღია ხისფერი;
- ბეჟი;
- კრემისფერი;
- ღია ქვიშისფერი;
- ღია ნაცრისფერი;
- ღია მწვანე;
- ღია ლურჯი;
- ან სხვა მშვიდი პასტელური ფერები.

ზედაპირი უნდა იყოს:

- ერთგვაროვანი;
- გლუვი;
- დეფექტების გარეშე;
- ადვილად წმენდადი.